

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 07 01

პროგრამის დასახელება:

ქალაქის ურბანული განვითარება

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2019-2022 წლები

პროგრამის მიზანი:

ქალაქის გეგმაზომიერი განვითარების უზრუნველყოფა

პროგრამის აღწერა:

ქალაქის განვითარების გეგმის შედგენა

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
ქალაქის განვითარების გეგმის შედგენა	1 850 000	1 000 000	450 000	200 000	200 000
სულ პროგრამა	1 850 000	1 000 000	450 000	200 000	200 000

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ქალაქის განვითარება ხორციელდება გეგმაზომიერად, დამტკიცებული სტრატეგიის შესაბამისად

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
		2017 წელი (საბაზო)	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი				
ქალაქის განვითარება ხორციელდება გეგმაზომიერად, დამტკიცებული სტრატეგიის შესაბამისად	ადმინისტრაციული ერთეულების რაოდენობა, სადაც ჩატარებულია ინვენტარიზაცია		7	6			რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონტორინგი
	შექნილია ქალაქის სივციითი განვითარების კონცეფცია		1				რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონტორინგი
	კონცეფციის საფუძველზე შექმნილია და დამტკიცებულია მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა				1			რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ქალაქის დაგეგმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

07 01 01

ქვეპროგრამის დასახელება:

ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	1 000 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	1 000 000

ქვეპროგრამის მიზანი:

ქალაქის დასახლებული ტერიტორიების გეგმაზომიერი განაშენიანება და რაციონალური გამოყენება

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული დაგეგმარებითი დავალების შესაბამისად ქალაქ ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება ქალაქის ტერიტორიის გამოყენების, განაშენიანების ძირითადი პარამეტრების, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიული პირობების, საინჟინრო, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის და სხვა მიმართულებების გათვალისწინებით. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავების დროს ბათუმის მერია შეისწავლის და გაითვალისწინებს ასევე ქალაქში სხვადასხვა სექტორების განვითარების შესაძლებლობებს და გამოწვევებს. უზრუნველყოფს ქალაქის ფუნქციონალური პროფილის დივერსიფიკაციისა და გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვას შესაბამისი დარგობრივი კვლევებისა და განვითარების სტრატეგიებზე დაყრდნობით, ბათუმის ქალაქწარმომქმნელი და ქალაქმომსახურების ფუნქციების ანალიზს და ამ ფუნქციების განვითარების პერსპექტივების შესწავლას. ასევე, დაგეგმილია ქალაქის ცალკეული უბნებისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავება, რომელიც დაადგენს კონკრეტული სპეციალური უბნების მიწათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან/და დააზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; დააზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტის მომზადება		1		1 000 000
სულ ქვეპროგრამა				1 000 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტის მომზადება	x	x	x	x
--	---	---	---	---

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

შემუშავებულია ქალაქ ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი, ქალაქის ცალკეული უბნებისთვის შემუშავებულია განაშენიანების რეგულირების გეგმები

დამატებითი ინფორმაცია

ქალაქ ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება მრავალწლიანი პროექტია. პროექტის საერთო ბიუჯეტი (2019-2020 წ) შეადგენს 1.300.000 ლარს

პროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით- ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის დამტკიცება	1) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით ტერიტორიული განვითარების გეგმა; 2) ქ. ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა; 3) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ჩამოყალიბებული გარემოს განაშენიანების რეგულირების გეგმები; 4) საყრდენი გეგმა; 5) ქ. ბათუმის ქალაქმშენებლობითი კადასტრი; 6) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენების და განაშენიანების რეგულირების წესები	1	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური	წერილადში ორჯერ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური	მონიტორინგი